პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 26 (4020)

7 თებერვალი, შაბათი. 1970 წ.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

გუშინწინ ლენინგრადის სპორტის სასახლე „იუბილეინის" ყინულის სარბიელზე დამთავრდა ევროპის ჩემპიონატის პროგრამით [illegible]ზე წყვილთა შეჯიბრება. ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა ფიგურისტებმა: ოქრო — [illegible] მოსკოველებმა ი. როდნინამ და ა. ულანოვმა, ვერცხლი — ლენინგრადელებმა ლ. სმირნოვამ და ა. სურაიკინმა.

საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხური დაიკავა გდრ-ის დუეტმა — ჰ. ვალტერ-შტაინერმა და ჰ.-უ. ვალტერმა.

• • •

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონები, ევროპის ორგზის ჩემპიონები ი. როდნინა და ა. ულანოვი ასპარეზობისას.



# მარაგი საკმარისი უნდა იყოს

МОСКОВИ, 6 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). სსრ კავშირის ჩემპიონი ცსკა გუშინ აქ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მორიგ მეოთხედფინალურ მატჩში შეხვდა ვარეზეს „ინისს" (იტალია).

მეტოქეები ასე თუ ისე იცნობდნენ ერთმანეთს, 1965 წელს ბრძოლაშიც კი მოსინჯეს ძალები. მაშინ ორ მატჩში წარმატებას არმიელმა კალათბურთელებმა მიაღწიეს. მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა: შეიცვალა შემადგენლობები, თამაშის სტილი... უცვლელი მხოლოდ ეროვნულ კალათბურთში ამ გუნდების როლი დარჩა: ცსკა და „ინისი" მერეც თავიანთი ქვეყნების აღიარებული ლიდერები იყვნენ. ამასთან, იტალიელებმა ერთხელ საკონტინენტთაშორისო თასი მოიგეს, ერთხელ კი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში იმარჯვეს.

გუშინდელი მატჩის შედეგს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასპინძლებისთვის ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ 11 თებერვალს ისინი საპასუხო ვიზიტით უნდა ეწვიონ ვარეზეს, სადაც, როგორც ამბობენ, იტალიელთა წინააღმდეგ თამაში ერთიორად ძნელია.

...პირველმა წუთებმა ცხადყო, რომ სტუმრები სერიოზული ბრძოლისთვის იყვნენ განწყობილი. დაახლოებით მე-7 წუთისთვის ანგარიში იყო 8:7 მასპინძლების სასარგებლოდ, შემდეგ — 13:13. აი, სწორედ ამ დროს წამოიწყო ცსკა-მ მეტოქის კალათის ხანგრძლივი იერიში, იტალიელები გაფთრებით იცავდნენ თავს, მაგრამ მასპინძელთა რამდენიმე ზუსტი სროლის შემდეგ წონასწორობა დაკარგეს. ამ ხელსაყრელ სიტუაციას ცსკა, ცხადია, ხელიდან არ გაუშვებდა — პირველი ტაიმი „ინისმა" 15 ქულით წააგო (27:42).

ბრძოლის ბედი, ფაქტიურად, გადაწყვეტილი იყო და მასპინძლებმა მეორე ტაიმი ვარეზეს მატჩისთვის მარაგის მოგროვებას მოანდომეს. სსრ კავშირის ჩემპიონმა 23-ქულიანი მარაგი შექმნა (83:60), რაც საპასუხო შეხვედრაში წარმატების საიმედო გარანტიას იძლევა.

საბჭოთა კალათბურთელთაგან თავი გამოიჩინა ანდრეევმა (15 ქულა). სტუმართა შორის უძლიერესი იყო იტალიაში ნატურალიზებული მექსიკელი, XIX ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი რაგა, რომელმაც თავის გუნდს 26 ქულა შესძინა (შეგახსენებთ, რომ რაგას სიმაღლე 190 სანტიმეტრს არ აღემატება).



# 20 ½

◆ МОСКОВИ, 6 თებერვალი. წლევანდელი სპორტული სეზონი ეს-ეს არის დაიწყო, მოცურავეებმა კი უკვე გახსნეს საკავშირო რეკორდების ანგარიში. მოსკოვის დინამოელმა, 15 წლის მოსწავლემ ნ. პეტროვამ 25-მეტრიან აუზში 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 5. 26,0 აჩვენა, ხოლო მისმა თანაკლუბელმა ნ. კარაკულოვამ ორჯერ გააუმჯობესა 100 მეტრზე ბრასით გოგონათა საკავშირო მიღწევა, რომელიც ახლა 1 წუთსა და 16,1 წამს უდრის.

◆ САНТИАГО, 6 თებერვალი. მექსიკის გუნდის „ამერიკის" ფეხბურთელებმა ბრაზილიის „სანტოსთან" მატჩის წინ პელეს გადასცეს „ვერცხლის გვირგვინი". საჩუქრის საპასუხოდ სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა მათ კარში 3 ბურთი გაიტანა. „სანტოსმა" გაიმარჯვა ანგარიშით 7:0. ამჟამად პელეს ანგარიშზეა 1014 გოლი.

# მეტოქეთა მოლოდინში...

„ტრუდის" სპორტული ბაზა მშვენიერ ტყეშია მოთავსებული პოდოლსკთან, რომელიც მოსკოვს 17 კილომეტრითაა დაცილებული. სწორედ აქ შეიკრიბნენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოკრივეები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდთან შეხვედრებისთვის ემზადებიან. პირველი მატჩი, როგორც ცნობილია, 11 თებერვალს გაიმართება მოსკოვში, მეორე კი 14 თებერვალს მინსკში.

მასპინძელთა ნაკრების დასადგენად 4 თებერვალს საწვრთნელი ორთაბრძოლები მოეწყო. კრივის პატარა დარბაზში დიდძალმა მაყურებელმა მოიყარა თავი — ამ ბაზაზე ზამთრის არდადეგებს ატარებენ მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

რინგზე არიან ჟ. კუკუშოვი და ვ. ზაპოროჟეცი. ისინი ჩაფხუტებსა და საწვრთნელ კოსტუმებში არიან გამოწყობილი. ბრძოლას ყურადღებით ადევნებენ თვალს ნაკრების მწვრთნელები ი. რადონიაკი და ნ. ლი (გუნდის უფროსი მწვრთნელი ა. კისელიოვი ავადაა).

სპარინგის შემდეგ ბიჭებმა თავისი გუნდის შემადგენლობაც გაიგეს და მეტოქის ნაკრებისაც. 11 თებერვალს ლუჟნიკის სპორტის სასახლის რინგზე წონითი კატეგორიების მიხედვით ასეთი წყვილების შეხვედრებს ვარაუდობენ (პირველად სტუმრები არიან დასახელებული): ვ. ჰოტორნი — ჟ. კუკუშოვი (ალმაათა), ვ. სანტიაგო — მ. ჯაკსიბაევი (ჩიმკენტი), ჯ. კოული — ა. მელნიკოვი (მოსკოვი), რ. ლანი — ბ. კუზნეცოვი (ასტრახანი), ხ. რუისი — ნ. ხრომოვი (ტაშკენტი), კ. დანიელსი — ვ. ფროლოვი (მოსკოვი), ს. მუნიცი — ო. ტოლკოვი (კიევი), ჯ. ვალდესი — ვ. ტრეგუბოვი (ვოლგოგრადი), ლ. უორდი — ვ. ტარასენკოვი (მოსკოვი), ჯ. დანიელსი — ვ. ბაბარიკა (კალინინგრადი), კ. ჯენკინსკი — ა. ვასიუშკინი (მოსკოვი).

5 ამერიკელი მოკრივე (ჰოტორნი, ლანი, რუისი, მუნიცი და ვალდესი) უკვე შეხვდა საბჭოთა სპორტსმენებს ლას-ვეგასში შარშან ოქტომბერში გამართულ მატჩში (მაშინ გაიმარჯვეს საბჭოთა მოკრივეებმა — 6:5).

ძველი „ნაცნობებიდან", ლანიმ წააგო სოკოლოვთან, ვალდესმა კი ტრეგუბოვთან. დანარჩენმა სამმა გაიმარჯვა. საბჭოთა ნაკრებში პირველად გამოვლენ 22 წლის სპორტსმენები ჯაკსიბაევი და ტოლკოვი.

— ამერიკელები აგრესიული, ფიზიკურად ძლიერი მოკრივეები არიან, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ევროპის ორგზის ჩემპიონმა ვ. ფროლოვმა. — მე მჯერა ჩვენი გუნდის წარმატებისა, მაგრამ გამარჯვების მოპოვება იოლი როდი იქნება.

ბ. ხაჩატრიანი.
(საკდესის კორ.).

პოდოლსკი.

# გუშინ

სპორტის სასახლეში დაიწყო თბილისის ძიუდოისტთა I საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა ათლეტების გარდა მონაწილეობენ სტუმრები საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, გდრ-იდან, პოლონეთიდან... ამ რანგის შეჯიბრება სსრ კავშირში პირველად იმართება და სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესსაც იწვევს. სხვა რომ არა, მუდამ როდი გვაქვს საშუალება ვნახოთ ისეთი სახელმოხვეჭილი ათლეტები, როგორიც არიან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გ. რიუსკა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი მ. პოგლაენი (ორივე — ჰოლანდია), ჩვენი თანამემამულეები ფ. მარტყოფლიშვილი, რ. მალალთაძე, გ. ონაშვილი...

ორდღიანი ტურნირი, ფაქტიურად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ორ ასპარეზობას წარმოადგენს. გუშინ პირველობისთვის იბრძოდნენ მხოლოდ იუნიორები და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბევრ შეხვედრაში მზარდი ოსტატობა გამოავლინეს. ამ სურათზე იუნიორების — შ. შაქარაშვილისა (მარჯვნივ) და მ. ელოტომცევის (ორივე — სსრ კავშირი) შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი.

დღეს ხალიჩაზე ვამოვლენ უძლიერესი ძიუდოისტები. შეჯიბრების დასაწყისი — 12 და 19 საათზე.

ფოტო მ. ზარბარიანისა.

# სპორტის მუშაკის იარაღი — ცოდნა

4 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის გაერთიანებულ სხდომაზე დამტკიცდა ფიზკულტურული კადრების ცოდნის ამაღლების სისტემა.

სპორტსმენი ვერც ერთ სახეობაში ვერ მიაღწევს წარმატებას მწვრთნელის შეუპოვარი მუშაობის გარეშე. საბჭოთა სპორტის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ, აგრეთვე, ფიზკულტურის მასწავლებლებს სკოლებსა და ინსტიტუტებში, სტადიონების დირექტორებს, სპორტული კლუბების თავმჯდომარეებს, საწარმოო ტანვარჯიშის ინსტრუქტორებს. ჩვენს ქვეყანაში 200 ათასზე მეტი კაცი იბრძვის საბჭოთა სპორტის სადიდებლად. მათი ცოდნის დონეზე და უნარზე დიდადაა დამოკიდებული ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი აღმავლობა.

ბევრ მათგანს სპეციალური ფიზკულტურული განათლება აქვს, მაგრამ ცხოვრება წინ მიდის, სპორტული მეცნიერება ვითარდება, ფიზკულტურული მოძრაობა სრულყოფილი ხდება. აი, რატომ დამუშავდა ზემოხსენებული სისტემა. იგი ითვალისწინებს მეცადინეობის სხვადასხვა ფორმას, თვეში 2 ორსაათიანი მეცადინეობიდან ათთვიან დაუსწრებელ კურსებამდე.

კოლეგიამ გადაწყვიტა, ყოველ წელს დაადგინოს ñ მწვრთნელი, რომლებიც თავს გამოიჩენენ საერთაშორისო კლასის სპორტსმენთა მომზადებაში და ოქროს მედლებით დააჯილდოვოს ისინი.

ამ სხდომაზე სპორტსმენთა და მათი მწვრთნელების ერთ ჯგუფს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატისა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდებები.

საქჟეში მოკლედ ...

# მოსკოვი. 1976 წელი...

ახალი ამბების სააგენტო კვლავ აქვეყნებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ცნობილი სპორტსმენების პასუხებს აას-ის კორესპონდენტების შეკითხვებზე მომავალი ოლიმპიადის მასპინძლად მოსკოვის კანდიდატურის წამოყენების თაობაზე.

## „მოსკოვში ოლიმპიადა ძალიან კარგად იქნება მოწყობილი“

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ევერი ბრენდეჯის საუბარი აას-ის კორესპონდენტ ჯ. გოროვიკთან

● გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი აზრი მოსკოვის წინადადების თაობაზე.

— სამწუხაროდ მე ჯერ კიდევ არ ვიცნობ საბჭოთა წინადადების დეტალებს. მხოლოდ დეპეშა მივიღე, რომ მოსკოვი 1976 წლის ოლიმპიადის მონაწილეებს იწვევს.

საბჭოთა კავშირში ბევრჯერ ვყოფილვარ და შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ საბჭოთა ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია თავი გაართვას ოლიმპიადის მოწყობას. დარწმუნებული ვარ, მოსკოვში ოლიმპიური თამაშები კარგად ჩატარდება.

● თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა ექნება ოლიმპიური თამაშების საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში ჩატარებას?

— ვფიქრობ, ეს ხელს შეუწყობდა სპორტსმენთა შორის მეგობრობის განმტკიცებას, რაც საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობისა და სოკ-ის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

● რა შეგიძლიათ გვითხრათ საბჭოთა სპორტზე?

— პირველად რუსეთში 1912 წელს ვიმოგზაურე. რევოლუციის შემდეგ ალბათ ექვსჯერ მაინც ვიყავი და ეს სტუმრობა, ისტორიული ადგილებისა და მუზეუმების დათვალიერება მუდამ დიდ სიამოვნებას მგვრიდა. 1912 წელს სპორტი, რასაკვირველია, ჩამორჩენილი იყო. შემდეგ, 30-ან წლებში, დიდი პროგრესის მოწმე გავხდი. ამოქმედდა ფიზიკური აღზრდის პროგრამა, რომლის განხორციელებასაც დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს. ჭაბუკებისა და ქალიშვილების ფიზიკური და სპორტული აღზრდა კარგი მოქალაქეების აღზრდას ნიშნავს. საბჭოთა ხალხმა ეს დიდი მასშტაბით გააკეთა და წარმატებასაც მიაღწია.

სსრ კავშირში ჩემი ბოლო ვიზიტის დროს, 2 თუ 3 წლის წინ, მითხრეს, რომ საკავშირო შეჯიბრებებში 60 მილიონი კაცი მონაწილეობს. ეს მოსახლეობის უდიდესი პროცენტი და, ვიმეორებ, უდიდესი მიღწევაა.

## ბრწყინვალე იდეაა!

საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟან დე ბომონი

— ეს ბრწყინვალე იდეაა! მე ვყოფილვარ მოსკოვსა და ლენინგრადში და კარგად ვიცნობ თქვენს სპორტულ ნაგებობებს. უნდა გითხრათ, რომ ეს ბაზები ჩინებულად მიმაჩნია. სპორტული კომპლექსი ლუჟნიკში მისი საუცხოოდ მოწყობილი 100000-ადგილიანი სტადიონით, დახურული სპორტული სარბიელით და სხვა ნაგებობებით ჩინებული ბაზაა ისეთი მასშტაბის ასპარეზობის ჩატარებისთვის, როგორიცაა ოლიმპიური თამაშები.

მხოლოდ იმას ვნანობ, რომ მოსკოვის კანდიდატურა, ვთქვათ, მიუნხენის კანდიდატურაზე ადრე არ იყო წამოყენებული. საქმე ისაა, რომ ჩემს კოლეგებს შორის არსებობს ტენდენცია ოლიმპიადების მორიგეობით ჩატარებისა, მაგალითად, ასე: ერთხელ ევროპაში, მეორედ — მის ფარგლებს გარეთ. ხუთი რგოლი, რომლებიც ოლიმპიადის ემბლემას შეადგენენ, ხუთი კონტინენტის სიმბოლოა. მელბურნი, ტოკიო, მეხიკო — ეს ქალაქები სწორედ ამ ტენდენციით შეარჩიეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ მიუნხენის შემდეგ მოსკოვში ოლიმპიადის ჩატარებას ხელი შეეშლება. მონრეალიც შეიძლება სერიოზული მეტოქე გამოდგეს.

მართალია, ტოკიოს შემდეგ თამაშები მეხიკოში ჩატარდა, მაგრამ ტოკიოს კანდიდატურა გამონაკლისის სახით დაუშვეს, რათა ბოლო მოეღებოდა აზიის ხანგრძლივ დისკრიმინაციას. სხვათა შორის, ჩემს კოლეგებს შორის გავრცელებულია აზრი, თითქოს საბჭოთა წინადადება ერთგვარი წინასწარი ცდა იყოს, თითქოს სსრ კავშირის სპორტის მესვეურებს სურთ 1980 წელს ჩაატარონ ოლიმპიური თამაშები და ახლავე იმზადებენ ნიადაგს. ეს შეხედულება პრესაშიც გამოითქვა. ამიტომ ამ საკითხზე ყოველგვარი ეჭვი უნდა გავფანტოთ და ოფიციალურად, მტკიცედ განვაცხადოთ, რომ ლაპარაკია არა 1980 წლის, არამედ სწორედ 1976 წლის ოლიმპიურ თამაშებზე.

ვიმეორებ, რომ ძალიან მომწონს მოსკოვის წინადადება, მაგრამ რას იტყვიან ჩემი კოლეგები, ვის მისცემენ ხმას, არ ვიცი. მე ისიც კი არ ვიცი, თავად როგორ მოვიქცევი. ბევრია დამოკიდებული იმაზე, როგორ წარსდგება საბჭოთა ქვეყნის წინადადება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინაშე, როცა კომიტეტის წევრები ამსტერდამში შეიკრიბებიან, რა არგუმენტები იქნება მოყვანილი მოსკოვის კანდიდატურის სასარგებლოდ. წარმატების მოსაპოვებლად სოკ-ის წევრებმა უნდა იცოდნენ საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტისა და მოსსაბჭოს ყველა შესაძლებლობა, უნდა დარწმუნდნენ, რომ მოსკოვში ყველა პირობა არსებობს ასეთი მასშტაბის ასპარეზობის ჩატარებისთვის.

## ფინელები ხმას აძლევენ მოსკოვს

ერიკ ფონ ფრენკელი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი

— მოსკოვს ყველა საფუძველი აქვს იმისთვის, რომ 1976 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე განაცხადოს პრეტენზია. ევროპის ჩემპიონატის შეჯიბრების ჩინებულმა ორგანიზაციამ ცხადყო, რომ სსრ კავშირის სპორტის მესვეურებს შეუძლიათ მომავალი თამაშები მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარონ. ფინელები დაინტერესებული არიან ამით. ჩვენ მოსკოვში ბევრი ერთგული მეგობარი გვყავს. ჩვენს ქვეყნებს შორის კარგი სპორტული კონტაქტებია დამყარებული. ფინელები ხმას მივცემთ, რომ მორიგი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი სწორედ მოსკოვი იყოს.

კაარლო კანგასნიემი, მსოფლიო ჩემპიონი ძალოსნობაში, ფინეთის საუკეთესო სპორტსმენი 1969 წელს

— მოხარული ვიქნები, თუ 1976 წლის ოლიმპიური თამაშები მოსკოვში ჩატარდება, რადგან საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სპორტული სახელმწიფოა. მომავალი ოლიმპიადის ჩატარების უფლება საბჭოთა სპორტსმენებს ახალი მიღწევების სტიმულს მისცემდა. გარდა ამისა, ბევრი ქვეყნისთვის ეს მოსახერხებელია გეოგრაფიული თვალსაზრისითაც და, რასაკვირველია, ხელსაყრელია ჩვენთვის — ფინელი სპორტსმენებისთვისაც. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირი ძალიან კარგად გაართმევს თავს ოლიმპიადის მოწყობას. მოსკოვში ადრეც ჩატარებულა ბევრი საერთაშორისო შეჯიბრება, ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის სპორტული ნაგებობები, რაც თამაშების ჩატარებისთვისაა საჭირო, უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დგას.

# ს. გოგნაძე — პირველი

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირად-გუნდურ პირველობაში თავისუფალ ჭიდაობაში იუნიორთა შორის წარმატებით იასპარეზა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გუნდმა, რომელმაც ჩრდილოეთ კავკასიის მოჭიდავეთა შემდეგ II საპრიზო ადგილი დაიკავა. III ადგილი წილად ხვდა ბაქოს საჰაერო თავდაცვის ოლქის გუნდს.

ამიერკავკასიის მოჭიდავეები წარმატებით გამოვიდნენ პირად ჩათვლაშიც. ჩემპიონი გახდა ს. გოგნაძე. II საპრიზო ადგილები დაიკავეს ე. პოლოსიანმა და ვ. ანტონიანმა, III ადგილზე გავიდა ვ. პლიევი.

გოგნაძე შეყვანილია სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ნაკრებში და იუნიორთა საკავშირო შეჯიბრებაში გამოვა.

ზ. მჭედლიშვილი,
სპორტის ოსტატი.

# ისევ დათა გუგუნავას შესახებ

წარსულის ფურცლები

გაზეთ „ლელოს“ 1 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი იყო ა. წერეთლის „ძველი ამბავი“, სადაც, ნათესავთა მოგონებების საფუძველზე, მოთხრობილია პოეტ სიმონ გუგუნავას მამის დათა გუგუნავას შესახებ, რომელიც კარგი მოჯირითე და სპორტში დახელოვნებული პიროვნება ყოფილა.

აღნიშნულმა წერილმა გამახსენა გასული საუკუნის ქართულ პრესაზე მუშაობისას ჩემს მიერ მოპოვებული ერთი მასალა, რომელიც დათა გუგუნავას გარდაცვალების გამო დაბეჭდა გაზეთმა „დროებამ“ 1885 წლის 18 სექტემბერს. ამ წერილის (ავტორი ვ. მიქელაძე) მიხედვით, დათა გუგუნავა ცხენოსნური სპორტის ნამდვილი ოსტატი ყოფილა. „მართლა რომ მისმა სიმარდემ ზღაპრული ხასიათი მიიღო, საარაკოდ გახდა, — წერდა „დროება“, — ერთად დაყენებულ რამდენიმე ცხენზე ხელუხლებლად გადახტომა, ძველებური დარბაისლური ცხენოსნობა, მარდად ჯირითის სროლა, იარაღის ხმარება — ხომ მის ხელთ იყო და არა მარტო სიყმაწვილეში — არამედ მოხუცებულობის დროსაც ყმაწვილების იდეალს შეადგენდა ყოველს ამ გვარს ვარჯიშობაში“.

შემთხვევითი არაა, რომ ამ გამოსათხოვარ წერილში ვრცლადაა დახასიათებული საერთოდ ქართული სპორტი, რომლის საუკეთესო წარმომადგენელიც იყო დათა გუგუნავა. „ეხლა, — ვკითხულობთ წერილში, — როცა ვისმეზე ლაპარაკობენ, თავდაპირველად იმას მკითხულობენ, თუ რა თანამდებობის კაცია, ან რამდენი ჯამაგირი აქვსო: პატივი ნივთიერ შეძლებას მოსდევს. მართალია, სიმდიდრეს მნიშვნელობა მუდამ ჰქონია, მაგრამ უწინ პირადნი ღირსებანი მაინც მაღლა იდგნენ. მამაცობა, ვაჟკაცობა, რაინდული მოქმედება, თოფ-იარაღის ხმარება, ჯირითი, მკვირცხლი ბურთაობა, კარგი სიმღერა, გალობა, ხელ-ფეხის სიმარდე დაუფასებელ თვისებათ შეადგენდნენ რაინდულს დროში. თვითეული ამ ღირსებათაგანი გამოსადეგი და სასარგებლო იყო“.

ავტორს არც იმის თქმაავიწყდება, რომ, თუ წინათ „ლხინს მოსდევდა სამხედრო ვარჯიშობა: მიზანში სროლა, ყაბახი, ჯირითი, ბურთაობა და ცხენის თამაში... დღეს ღვინით იწყება ლხინი და ჩხუბით თავდება. უგრძნობლად დათრობა შეადგენს აწინდელის ლხინის ღირსებას“. ავტორი ასე ამთავრებს თავის წერილს: „ყოველივე ამის შემხედვარეს უნებლიედ და მწუხარებით აგონდება ისინი, ვინც ძველებურს, კეთილშობილურს განცხრომას თვალ-წინ უნახავდნენ, ვინც ესთეტიურის სიამოვნებით ამშვენებდნენ ჩვენებურს სუფრას და რაინდულის ვარჯიშობით აკეთილშობილებდნენ ჩვენებურს თამაშს. თავადი დათა გუგუნავა სწორედ ერთი იმათაგანი იყო“.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით დავსძინო: ქართული სპორტის ისტორია დათა გუგუნავას მსგავს ბევრ ღირსშესანიშნავ პიროვნებას იცნობს. XIX საუკუნის ქართული პრესა იხსენიებს ცხენოსნებს ალექსანდრე აფხაზიშვილს, ნინიკა ბაქრაძეს და სხვებს, მოკრივეებს „ჩიტოსა“ და „სათოს“, მოშურდულე მიტრო მახარესაშვილს, მრავალ განთქმულ მოჭიდავეს, რომელთა სპორტული ბიოგრაფიის დადგენაში უმთავრესად თანამედროვეთა მოგონებები გაგვიწევენ სამსახურს. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ კეთდება იმისთვის, რომ ამ გზით დავადგინოთ ქართული სპორტის ისტორიის თავისებურ ბურჯთა სპორტული ბიოგრაფია.

ამ მხრივ მისაბაძია ილო ალაშნელის, ამირან ცამციშვილისა და სხვა მკვლევართა მუშაობა, რომლებმაც ბევრი მივიწყებული სპორტსმენის სპორტული ცხოვრების გზა შეისწავლეს და ცალკე წიგნებად გამოსცეს. მაგრამ ეს, ცხადია, საკმარისი არ არის. პრესაში ხშირად უნდა იბეჭდებოდეს ცალკეულ პირთა მოგონებები, ხოლო მათ, ვინც რაიმე იცის ძველი სპორტსმენების შესახებ, არ უნდა დაიზარონ და ასეთი ცნობები უხვად მოაწოდონ რედაქციებს.

ჩვენი ვალია ქართული სპორტის ისტორიას შევუნარჩუნოთ იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც ამ ისტორიის ფაქტიური შემოქმედნი არიან.

ა. ციბაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# სპორტკლუბმა ფრთები გაშალა

ამას წინათ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კლუბში გაიმართა ქარხნის ფიზკულტურელთა აქტივის კრება, რომელზეც თავი მოიყარეს ფიზკულტურელებმა, სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა, აქტივისტებმა, მუშა-მოსამსახურეებმა.

კრებას ესწრებოდნენ საკავშირო პროფსაბჭოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე ე. კრიუკოვი, ამ განყოფილების ინსტრუქტორი ვ. კაზიმოვი, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე, აგრეთვე, საპატიო სტუმრები, დიდოსტატი მ. ტალი და საერთაშორისო ოსტატი ბ. გურგენიძე.

მოხსენებით ქარხნის სპორტკლუბ „განთიადის“ შარშანდელი მუშაობისა და ფიზკულტურული კოლექტივის წლევანდელი ამოცანების შესახებ გამოვიდა სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე მ. რუდერმანი.

მომხსენებელმა თქვა, რომ სპორტკლუბმა „განთიადმა“, რომელიც 3000-ზე მეტ ფიზკულტურელს ითვლის, მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობაში. ავიამშენებლებისთვის შარშანდელი წელი ნაყოფიერი გამოდგა: საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადაში მათ საერთო II ადგილი დაიკავეს, ფრენბურთში, ფეხბურთში, ხელბურთში, ცურვასა და ძალოსნობაში — საპრიზო ადგილები. ტანმოვარჯიშეებმა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს და საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. ქარხნის ფეხბურთელთა გუნდმა, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ვ. რამიშვილი ავარჯიშებს, საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში გაიმარჯვა და გაისად პირველ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა.

ქარხნის სპორტსმენებმა წარმატებებს მიაღწიეს ფიზკულტურული აქტივის, სპორტკლუბის გამგეობის, ქარხნის დირექციის დახმარებით. ხშირად იმართებოდა საქარხნო სპარტაკიადები, ამხანაგური შეხვედრები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მაღალთანრიგოსანთა მომზადებას — ხუთი სპორტის ოსტატი, 9 ოსტატობის კანდიდატი, 32 პირველთანრიგოსანი შეემატა განთიადელთა რიგებს.

მაღალთანრიგოსანთა აღზრდაში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს ს. ბურჯანაძეს, ვ. კლიმოვას, ვ. რამიშვილს, ა. სოროკინს, რ. სარვაზიანს, ე. გალუმოვს, საზოგადოებრივ მწვრთნელებს ნ. ცოტაძეს, ა. სალნიკოვს, ვ. ვინიკსა და სხვ.

მაგრამ წარმატებებთან ერთად სპორტკლუბის საქმიანობაში ნაკლიც შეიმჩნეოდა. ზოგიერთი საამქროს გუნდები რეგულარულად არ ვარჯიშობდნენ, შეჯიბრებებში არ მონაწილეობდნენ. ასეთ საამქროებში ჩაშლილია ფიზკულტურული მუშაობა, დაბალია გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დონე.

კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ ვ. რამიშვილი, მუშა ს. ოვჩერენკო, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ბ. აშორდია, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ბაჟანოვი და სხვ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ფიზკულტურა და სპორტი ამაღლებს შრომისნაყოფიერებას, მიუთითებდნენ ნაკლოვანებებზე, სახავდნენ ამ ხარვეზების დაძლევის გზებს.

ქარხნის ფიზკულტურულ აქტივს გულთბილად მიესალმა დიდოსტატი მ. ტალი. მანვე ჯილდოები გადასცა XVIII საქარხნო სპარტაკიადაში გამარჯვებულებს.

დასასრულს სპორტკლუბის ინსტრუქტორმა ნ. ყურაშვილმა დამსწრეთ გააცნო სოციალისტური ვალდებულების პროექტი, რომელიც ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელი გეგმის ვადამდე შესრულებას ითვალისწინებს.

* * *

მ. ტალმა და ბ. გურგენიძემ კლუბის ფოიეში 26 დაფაზე გამართეს ერთდროული თამაშის სეანსი, სცენაზე კი ქარხნის სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები მოეწყო.

ქ. ხაჩატუროვა.

## „ლელო“ — წერილების კვალდაკვალ

შარშან ჩვენი გაზეთის 25 სექტემბრის, 29 ოქტომბრისა და 4 ნოემბრის ნომრებში მოთავსებული იყო წერილები — „რეკორდი ერთია, ნაკლოვანება მრავალი“, „გაწყვეტილი ესტაფეტა“ და „სპორტის დედოფლის შავი ლაქები“, რომლებშიც გაკრიტიკებულია მძლეოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრებების მონაწილე ორგანიზაციები, მწვრთნელები და სპორტსმენები.

როგორც მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე ვ. ვაშაკიძე გვატყობინებს, ზემოხსენებულ წერილებში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. შემდგომი საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით ფედერაციის მიერ მიღებულია სათანადო ზომები და დასახულია მთელი რიგი ღონისძიებები.

# რბენაში მოვიკოჭლებთ

ბაკურიანი, 5 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ დაიწყო საქართველოს ზამთრის III სპარტაკიადა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება. მონაწილე გუნდები სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. პირველ ჯგუფში გამოდიან თბილისის, ამბროლაურის, მესტიისა და ბორჯომის რაიონის ნაკრები კოლექტივები. II ჯგუფში ასპარეზობენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქუთაისის, ცაგერის, ონის, ლენტეხის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სპორტსმენები. სათაკლია, რომ აჭარის ფიზკულტურის კომიტეტმა შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის გუნდი არ გამოგზავნა, რაც პირველი შემთხვევაა. იყო დრო, როცა აჭარის მოთხილამურეები რესპუბლიკურ ტურნირებში საპრიზო ადგილებს იკავებდნენ.

შეჯიბრების პროგრამაშია რბენა სხვადასხვა დისტანციაზე, ტრამპლინიდან ხტომა, ორჭიდი, სამთოსათხილამურო სპორტი. ბიატლონში შეჯიბრება ამჯერად არ ტარდება, ვინაიდან ამ სახეობამ ჩვენში ფეხი ვერ მოიკიდა.

ჯერ კიდევ სპარტაკიადის დაწყებამდე ტურნირის კალენდარში ერთგვარი ცვლილება მოხდა. იმის გამო, რომ კ. წაქაძე მსოფლიო ჩემპიონატში საასპარეზოდ უნდა გამგზავრებულიყო, „მფრინავ მოთხილამურეთა" შეჯიბრება პირველ დღეს გადმოიტანეს.

სამთო სახეობებში ტურნირი საინტერესო უნდა ყოფილიყო, ვინაიდან აქ სარბიელზე უკონკურსოდ გამოდიან მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი მოთხილამურენი. მაგრამ ერთ-ერთმა ფავორიტმა, სპორტის ოსტატმა გ. აბრამიშვილმა ბოლო ვარჯიშის დროს ფეხი მოიტეხა, ხოლო მეორე ფავორიტი იოსებ ნასყიდაშვილი „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს გუნდის შემადგენლობაში ჩარიცხეს და ავსტრიის საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ გამოიძახეს. არა და, ორივე ქართველი სპორტსმენი სპარტაკიადისთვის შესანიშნავად იყო მომზადებული.

რესპუბლიკური პირველობა გახსნეს 5 კილომეტრზე მორბენალმა ქალებმა. ისინი, იმ რთულ ტრასაზე ასპარეზობდნენ, სადაც ამ რამდენიმე დღის წინ სსრ კავშირის თასი გათამაშდა. საკმაოდ დასერილ დისტანციაზე სიმაღლეთა საერთო სხვაობა 152 მეტრს უდრიდა. ტემპერატურა მინუს 3 გრადუსი იყო. სტარტზე გამოვიდა 9 პირველთანრიგოსანი და 20 მეორე თანრიგოსანი. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს საქართველოს თხილამურებით მორბენალთა კვალიფიკაციის ჯერ კიდევ დაბალ დონეზე. არ გვყავს არც ერთი ოსტატობის კანდიდატი და არც ერთი სპორტის ოსტატი.

სტარტიდან პირველი გავიდა 18 წლის ბორჯომელი ფ. ბაკაევა („კოლმეურნე"), ბოლო — 22 წლის მ. პარასტაევა (სამხრეთ ოსეთი, „სპარტაკი"). ყველა მონაწილე თავდაუზოგავად იბრძოდა, მაგრამ ბევრის ფიზიკური მომზადება და ტექნიკა დაბალი იყო. ამიტომ გამარჯვებულის — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტის ა. კაზაკოვას შედეგი III თანრიგის ნორმატივსაც კი ვერ უდრის — 28.42,0. ეს თითქმის 10 წუთით ჩამორჩება საკავშირო თასის ამასწინანდელ გათამაშებაში გამარჯვებულ გ. კულაკოვას (იჟევსკის „ტრუდი") მაჩვენებელს. მაგრამ კაზაკოვას იმით მაინც შეუძლია თავი ინუგეშოს, რომ მეორე პრიზიორ ლ. ჯაფარიძეს (მესტიის „კოლმეურნე") 2 წუთი და 45 წამი მოუგო. III ადგილზეა ნ. რატიანი (მესტიის „კოლმეურნე") — 32.27,0.

ბორჯომის რაიონის კოლექტივი ამ სახეობის გუნდურ ჩათვლაში ბოლო ადგილზე დარჩა, ვინაიდან გუნდის ორი სპორტსმენიდან ერთმა (ბაკაევამ) რბოლა ვერ დაამთავრა, ნ. ტიგიშვილმა („კოლმეურნე") კი დისტანციის გავლას 47.31,0 მოანდომა და ბოლო ადგილი დაიკავა.

დიდი წარმატებით ვერც 15 კილომეტრზე მორბენალი ვაჟები დაიქადნიან (ისინიც ეგრეთწოდებულ საკავშირო ტრასაზე დარბოდნენ): 39 მონაწილიდან 16 პირველთანრიგოსანი გახლდათ, დისტანციას კი 25 სპორტსმენმა გაუძლო.

გამარჯვებისთვის საინტერესო ბრძოლა გამართეს პირველთანრიგოსნებმა იაგო ნასყიდაშვილმა (თბილისის „ბურევესტნიკი") და რ. გულბანმა (მესტიის „კოლმეურნე"). გულბანი ნასყიდაშვილზე 6 წლით უფროსია და გამოცდილებამ თავისი გაიტანა. გაიმარჯვა გულბანმა — 1:06,41. II ადგილზეა ნასყიდაშვილი — 1:07.14. III ადგილზე გავიდა ა. ნავერიანი (მესტიის „კოლმეურნე") — 1:09.45.

გუნდურ ჩათვლაში (გათვალისწინებული იყო 3-3 სპორტსმენის მაჩვენებელი) თბილისელებმა მესტიელებს 8 წამით აჯობეს. ბორჯომის გუნდი აქაც უხეიროდ გამოვიდა — ლიდერებთან 14 წუთი წააგო. დასანანია, რომ ამ რაიონში კარგი მორბენლების აღზრდისთვის აღარ ზრუნავენ. მართალია, სათხილამურო სპორტის რესპუბლიკურ ფედერაციას აქცენტი სამთოსათხილამურო სპორტზე და ხტომებზე აქვს გადატანილი, მაგრამ რბენა უყურადღებოდ არ უნდა მივატოვოთ.

გუშინვე გაიმართა შეჯიბრება ხტომებში. უძლიერესები 90-მეტრიან ტრამპლინზე ასპარეზობდნენ, მეორე ჯგუფის სპორტსმენები და იუნიორები — 40-მეტრიანზე.

40-მეტრიან ტრამპლინზე შეჯიბრებაში იმარჯვა ბორჯომელმა ა. ბაკაევმა („კოლმეურნე"). 90-მეტრიან ტრამპლინზე აშკარა იყო სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის კ. წაქაძის (ბორჯომის „კოლმეურნე") უპირატესობა. იგი 100 და 104 მეტრზე გადახტა, სტილშიც მაღალი შეფასება დაიმსახურა, საბოლოოდ 233,4 ქულა დააგროვა და ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე შედეგი ჰქონდა ორჭიდში სსრ კავშირის ნაკრების წევრს, სპორტის ოსტატ ი. კოზულინს — 211,6 ქულა (95 და 97 მ). ვინაიდან ეს უკანასკნელი უკონკურსოდ ასპარეზობდა, II ადგილი მიეკუთვნა ა. გავას (ბორჯომის „კოლმეურნე"), რომელიც 95 და 99 მეტრზე გადახტა, საბოლოოდ კი 205,4 ქულა მიიღო. III ადგილზეა ბ. მჭედლიანი (მესტიის „კოლმეურნე"). იგი ცუდად როდი გადახტა (80,5 და 95 მ), მაგრამ სტილში დაზარალდა და ამიტომ საბოლოოდ 152,1 ქულას დასჯერდა.

დღეს კოხტაგორაზე გაიმართა შეჯიბრება სწრაფდაშვებაში. ქალებიც და ვაჟებიც 1500-მეტრიან ტრასაზე ასპარეზობდნენ, სადაც სიმაღლეთა სხვაობა 380 მეტრს უდრიდა, ოღონდ ვაჟებს გასავლელი ჰქონდათ 12, ქალებს კი 14 კარი. როგორც აღვნიშნეთ, სამთომოთხილამურეთა ტურნირში მოსკოველი და ლენინგრადელი სპორტსმენებიც გამოდიან, მაგრამ ოსტატობის კანდიდატი გ. ჯიჩოევი (ბორჯომის „დინამო") ტიტულებს როდი შეუშინდა. მან ტრასა ყველაზე სწრაფად (53,0) გაიქროლა და გაიმარჯვა. მეორე შედეგი ჰქონდა ლენინგრადელ სპორტის ოსტატ ს. გრიშჩენკოს — 55,2. სპარტაკიადაში II ადგილი ქუთაისელ რ. აკოფოვს ხვდა წილად — 56,0 (ასეთივე მაჩვენებლით დაამთავრა ასპარეზობა მოსკოველმა ოსტატმა ნ. გურკინმაც). III ადგილი დაიკავა ა. სტეფანიანმა (თბილისის „დინამო") — 56,6. გუნდურ ჩათვლაში, ისევე როგორც ტრამპლინიდან ხტომაში, ბორჯომელთა უპირატესობა აშკარა იყო.

ქალთა სწრაფდაშვებაში საუკეთესო შედეგი აჩვენა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, მოსკოველმა გ. სიდოროვამ — 1.11,9. მეორე შედეგი აღმოაჩნდა ნ. ფალიანს (თბილისის „ბურევესტნიკი") — 1.16,0, რამაც მას სპარტაკიადის ჩემპიონობა მოუტანა. რესპუბლიკურ ტურნირში მომდევნო ადგილები მოიპოვეს სპორტის ოსტატმა მ. თვაურმა (თბილისის ასკ) — 1.20,0 და ზ. გავამ (თბილისის „ბურევესტნიკი") — 1.26,0. რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი ლ. გოგოლაძე (ქუთაისი, „კოლმეურნე") ტრასაზე დაეცა, საბოლოოდ 1.33,3 აჩვენა და IV ადგილს დასჯერდა.

ორი დღის შეჯიბრების შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა: I ჯგუფი. თბილისი — 8 საჯარიმო ქულა, მესტია — 11, ბორჯომი — 14; II ჯგუფი. ქუთაისი — 12, ცაგერი და სამხრეთ ოსეთი — 26-26.

ო. გელაშვილი.



ბაკურიანში დაძაბულად წარიმართა თხილამურებით რბენაში სსრ კავშირის თასის გათამაშება, რომელმაც საუკეთესოებს მსოფლიო პირველობის საგზურები მისცა.

* * *

სურათზე: 15 კმ-ზე რბენაში შეჯიბრების მომენტი. დისტანციაზე არიან (მარჯვნიდან) არმიელი სპორტის ოსტატი ა. სილაევი, საპატიო სპორტის ოსტატი ვ. კრუგლოვი („შრომითი რეზერვები") და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ნასედკინი („დინამო").

ფოტო ო. გელაშვილისა. (ჩვენი სპეც. კორ.).



ამ დღეებში დიდოსტატი დ. ბრონშტეინი თბილისის ბევრი საწარმო-დაწესებულების ჭადრაკის მოყვარულებს შეხვდა. იგი იყო რუსთავშიც, სადაც პიონერთა სახლის დარბაზში გულშემატკივრებს ესაუბრა თემაზე „ჭადრაკი-70". მერე ბრონშტეინმა სეანსი გამართა 20 დაფაზე. დიდოსტატმა 15 პარტია მოიგო, 1 (ჟურნალისტ გ. ძინძიბაძესთან) წააგო და 4 (სამშენებლო-სარემონტო კონტორის უბნის უფროს ო. დოლიძესთან, ინჟინერ ა. დოლიძესთან, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტის ინჟინერ პ. ბაბახანოვთან და პედაგოგ ვ. რიზაევთან) ყაიმით დაამთავრა.

სურათზე: დ. ბრონშტეინი ატარებს ერთდროული თამაშის სეანსს.

ტექსტი და ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

## ჭადრაკს ყველა ასაკი ემონება

„ტრუდის" ცენტრალური საბჭო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს უძღვნის სსრ კავშირის ჭადრაკის ვეტერან ოსტატთა ღია პირველობას. ერთმანეთს შეხვდება 60 წელს მიახლოებული, 60 წლისა და მეტი ხნის 18 მოჭადრაკე.

ტურნირში მოსალოდნელია დიდოსტატების მ. ბოტვინიკის, ა. ლილიენტალის, ს. ფლორის, ა. კოტოვის, საერთაშორისო ოსტატების ვ. მაკოგონოვის (ბაქო), ჰ. კასპარიანის (ერევანი), რ. ნეჟმეტდინოვის (ყაზანი) და სხვების მონაწილეობა. პერსონალური მოწვევა მიიღო უხუცესმა საბჭოთა ოსტატმა ნ. სოროკინმა (თბილისი).

ტურნირი გაიმართება მოსკოვს, მაისში. იგი იქნება „ტრუდის" საჭადრაკო ფესტივალის პროგრამის ძირითადი „ნომერი". ფესტივალში ერთმანეთს შეხვდებიან, აგრეთვე, ქარხანა-გიგანტების მოჭადრაკეთა გუნდები, გაიმართება ვაჟთა, გოგონათა და ჭაბუკთა შეჯიბრებები, რუსეთის ფედერაციის მასობრივი ტურნირის ფინალი.

## ბრძოლა მძაფრდება

სოხუმი, 4 თებერვალი (ჩვენი კორ.). მძაფრდება ბრძოლა „დინამოს" მოჭადრაკე ქალთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში.

4 ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით ლიდერობენ ა. ივანოვა (თბილისი) და ი. ვეველე (რიგა). საინტერესოა, რომ II ტურში ორივე ლიდერი წაგებას გადაურჩა: ივანოვა ოსტატ ც. კობაიძესთან, ხოლო ვეველე — ო. იახიოპულოსთან (სოხუმი). რიგელს ფიგურა აკლდა, მაგრამ მეტოქის უხეში შეცდომის შემდეგ პარტია მოიგო კიდეც.

ოსტატ ა. მუსლიმოვას (ალმაათა) და ახალგაზრდა ხ. ტალესს (ტალინი) 3-3 ქულა აქვთ. პირველთანრიგოსანი წაუგებლად იბრძვის, მუსლიმოვა კი პირველად დაამარცხა ივანოვამ.

კობაიძეს 2,5 ქულა აქვს.

## დადგა გადამწყვეტი ფაზა

კიევში გრძელდება ზამთრის საკავშირო ტურნირი ჩოგბურთში. წლეულს პირადი პირველობის სტარტზევე განსაკუთრებით ხშირი იყო სენსაციები. მაგალითად, ისეთი აღიარებული ჩოგბურთელები, როგორიც არიან ბაქშეევა, ისლანოვა, პალმანი, მოზერი, ეგოროვი და სივოხინი, მეოთხედფინალშიც კი ვერ მოხვდნენ. კინაღამ თვით ა. მეტრეველსაც უმტყუნა ბედმა. მან ძლივს დაამარცხა სევეროდონეცკელი ფილევი (6:4, 4:6, 7:5). სპეციალისტები ამ მოულოდნელ შედეგებს იმით ხსნიან, რომ ჩოგბურთელები მათთვის უჩვეულო, ხისსაფარიან კორტებზე თამაშობენ. მაგალითად, მეტრეველი ახლახან დაბრუნდა ინდოეთიდან, სადაც მთელ თვეს ბალახისა და მაგარგრუნტიან კორტებზე გამოდიოდა. მიზეზი მიზეზია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ახალგაზრდობამ ტოლი არ დაუდო აღიარებულ სპორტსმენებს და უშეღავათო ბრძოლაში ზოგიერთი მათგანი „გაანაწყენა" კიდეც.

ვაჟთა ერთეულების მეოთხედფინალურ შეჯიბრებაში ერთმანეთს შეხვდებიან მეტრეველი — პესჩანკო, ლამპი — სამუილოვი, კოროტკოვი — ლიხაჩოვი, იუშკა — ლეიუსი. ქალთა ერთეულების მეოთხედფინალში ერთმანეთის მეტოქეები იქნებიან: პარმასი — ერემეევა, იანსონე — ჩუვირინა, გრანატუროვა — კული, კრიუჩკოვა — მოროზოვა.

ქალთა და ვაჟთა წყვილებში უკვე გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები: ქალები. მოროზოვა, იანსონე — კრიუჩკოვა, ერემეევა; კული, პარმასი — ბაქშეევა, ჩუვირინა; ვაჟები. მეტრეველი, ლიხაჩოვი — იუშკა, სიმსონი; პესჩანკო, კაკულია — ეგოროვი, კოროტკოვი.

მეოთხედფინალისტთა ვინაობა გაირკვა შერეულ წყვილთა შეჯიბრებაშიც. ესენი არიან: მოროზოვა, მეტრეველი — ზინკევიჩი, სეპი; კული, სიმსონი — ერემეევა, პესჩანკო; ჩუვირინა, კაკულია — იზოპაიტისი, ივანოვი; ისლანოვა, ლუნინი — ბაქშეევა, ლეიუსი.

ჩოგბურთი

## შეტევითი ტაქტიკის ზეიმი

მოსკოვი, 5 თებერვალი. სსრ კავშირის ნაკრებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა ევროპის ლიგის მაგიდის ჩოგბურთელთა პირველობის გათამაშებაში: დაამარცხა უნგრეთის ნაკრები — 4:3. ეს გამარჯვება მით უფრო სასიხარულოა, რომ ჩვენმა სტუმრებმა რამდენიმე დღის წინ სძლიეს გფრ-ის ძლიერ გუნდს (6:1), რომელშიც თამაშობს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ე. შელერი.

სსრ კავშირ-უნგრეთის მატჩის საკვანძო შეხვედრა იყო ამ გუნდების პირველი ნომრების ასპარეზობა. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ სსრ კავშირის ჩემპიონი ს. გომოზკოვი და უნგრეთის ჩემპიონი, 16 წლის ტ. კლამპარი.

მანამდე ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩვენი მეორე ჩოგანი ს. სარხოიანი და უნგრელი ი. იონერუ. უნგრელმა სწრაფად დააყრევინა ფარ-ხმალი ბათუმელს — 21:10, 21:15.

გომოზკოვმა კი შეძლო ნერვების დაოკება, გაუბედაობა ჩქარა მოიშორა და დაამარცხა ჯერ კიდევ ჭაბუკი, მაგრამ მრისხანე მეტოქე, რომელმაც ახლახან სკანდინავიის ღია ჩემპიონატში პირველობა მოიპოვა. ეს იყო გომოზკოვის თავისებური რევანში სკანდინავიის ჩემპიონატში უნგრელთან დამარცხებისთვის — 21:18, 11:21, 21:15.

ამ შეხვედრაშიც და სხვა ორთაბრძოლებშიც იმარჯვებდა ის, ვინც გაბედულად თამაშობდა, მეტოქეს მთელი შეხვედრის მანძილზე აყენებდა რთული ამოცანების წინაშე, და არ მიმართავდა ერთთავად თავდაცვით ტაქტიკას. შემტევი სტილით მოქმედებდა ზ. რუდნოვაც ა. ჰერნადისთან შეხვედრისას და გაიმარჯვა კიდეც — 21:13, 21:13. ვაჟთა და ქალთა წყვილების თამაშშიც მასპინძელთა უპირატესობა დამაჯერებელი იყო. როცა მასპინძლებმა გადამწყვეტი 4 ქულა დააგროვეს, სტუმრებმა იმითღა ინუგეშეს თავი, რომ დარჩენილი ორი შეხვედრა (ერთეულებში) მოიგეს.



# ჩეხოსლოვაკიელთა ორი გოლი — რუმინელთა ფრე

ლიმა, 5 თებერვალი. პერუს ნაკრებმა თავისი მაღალმთიანი დედაქალაქის სტადიონზე საწვრთნელი მატჩი წააგო ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდთან — 0:2. ანგარიში 35 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გახსნა სტრატილმა, 6 წუთის შემდეგ კი სტუმრებმა კარგად გამოიყენეს კუთხური და სმეტანამ მასპინძელთა კარში მეორე ბურთი გაიტანა. მატჩს 45 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ბელუ-ორიზონტი, 5 თებერვალი. ბრაზილიის ამ ქალაქში რუმინეთის ნაკრებმა ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა ადგილობრივ „ინტერნასიონალთან". 54-ე წუთზე ვალდომირომ ზუსტად დაარტყა საჯარიმო, მაგრამ 13 წუთის შემდეგ რუმინეთის ნაკრების თავდამსხმელმა დომიდემ ანგარიში გაათანაბრა.




● ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიამ პროფესორ მ. ანდრევიჩის (იუგოსლავია) თავმჯდომარეობით განსაზღვრა იმ 30 მსაჯის ვინაობა, რომლებსაც დაეკისრებათ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების არბიტრობა. 18 მსაჯი მოწვეულია ნეიტრალური ქვეყნებიდან. მექსიკას დათმობილი აქვს 8 ადგილი, მსაჯთა სიებს უახლოეს ხანში დაამტკიცებს ფიფა-ს ხელმძღვანელობა.

● ურუგვაის ნაკრები ბოლო საკონტროლო მატჩებს ასეთი შემადგენლობით ატარებს: კორბო (კარასკო), სანდოვალი, მასტორო, ვასკესი II (ხორნესი), ფონტესი, მარტინესი, პისანო, გომესი, ალვარესი, ზუბია, ვარენო.

● რუმინეთის ნაკრები გუნდის დღევანდელი ვარიანტი ასე გამოიყურება; მეკარეები — რადუკანუ, გიცა; მცველები — სატმარიანუ, ხალმაჯიანუ, დანი, დელიანუ, ლუპესკუ, მოკანუ; ნახევარმცველები — გერგეი, დინუ, ნუნვაილერი VI, დუმიტრუ; თავდამსხმელები — დემბროვსკი, დუმიტრაკე, დობრინი, დომიდე, ლუჩესკუ, ნიაგუ.

● ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ჟ. სალდანიას კატეგორიული განაცხადებით, „აზრი იმის შესახებ, თითქოს ბრაზილიის გუნდი დაუმარცხებელია — მცდარია". სალდანიამ თქვა: „სასურველი იქნება მექსიკაში უვნებლად ჩავიდეს ნაკრების ძირითადი ბირთვი: კარლოს ალბერტო, ჟოელი, ჟერსონი, ჟაირზინიო, პელე და ედუ. თუ ტოსტაო ვერ შეძლებს ფინალში თამაშს, მის ადგილს ალბათ რიველინიო დაიკავებს".

● ფიფა-ს დისციპლინარულმა კომისიამ პერუს ნაკრების ფეხბურთელებს ფუენტესსა და მიფლინის დისკვალიფიკაციის ვადა 8 მაისამდე შეუმცირა. ამით მან დასჯილ ფეხბურთელებს ფინალურასპარეზობაში მონაწილეობის საშუალება მისცა.

## ნარევი

● ცნობილი გახდა გფრ-ის ნაკრების 35 კანდიდატის სია; მეკარეები — ვოლტერი (ბრაუნშვაიგის „აინტრაჰტი"), მაიერი (მიუნხენის „ბაიერნი"), მანგლიცი („კიოლნი"); მცველები — პაცკე („ჰერტა"), ჰიოტგესი (ბრემენის „ვერდერი"), ლორენცი (ბრაუნშვაიგის „აინტრახტი"), შულცი („ჰამბურგერ შფ".), ვებერი („კიოლნი"), ფოგტსი, ზიილოფი, მიულერი (სამივე — „ბორუსია"), ფიხტელი („შალკე-04"); ნახევარმცველები და თავდამსხმელები—ჰორი („ჰერტა"), ჰელი, ნოიბერგერი (ორივე—„ბორუსია"), გრაბოვსკი (ფრანკფურტის „აინტრახტი"), ზეელერი („ჰამბურგერ შფ."), ოვერატი („კიოლნი"), ნეცერი, ლაუმენი (ორივე — „ბორუსია"), ბეკენბაუერი (მიუნხენის „ბაიერნი"), ლიბუდა („შალკე-04"), ჰაინკესი („ჰანოვერ-96"). ნაკრების მწვრთნელს ჰ. შიონს განზრახული აქვს 11 თებერვალს ესპანეთის (სევილიაში), 9 მაისს — ჩრდილოეთ ირლანდიის (ალბათ, ჰანოვერში), 13 მაისს — იუგოსლავიის (ჰამბურგში) ნაკრებ გუნდებთან შეხვედრების გამართვა.

● მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩების დაწყებამდე ჩეხოსლოვაკიის ნაკრები რამდენიმე საწვრთნელ მატჩს ჩაატარებს. კერძოდ, 18 თებერვალს ითამაშებს ესპანეთის „სევილიასთან" და 25 თებერვალს — საფრანგეთის „ნანტთან", შემდეგ, 8 აპრილს საბერძნეთის ნაკრებს შეხვდება ათენში, 12 აპრილს — ვენაში ავსტრიის ნაკრებს და 18 მაისს ოსლოში — ნორვეგიის ნაკრებს. ამის შემდეგ ჩეხოსლოვაკიელები მექსიკაში გაემგზავრებიან.

● ურუგვაის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ეძუარდო ხოხბერგი დანაღვლიანებულია: ნაკრები ფაქტიურად ჯერ არ არსებობს. 2 კლუბი — მონტევიდეოს „ნასიონალი" და „პენიაროლი", რომლებიც შეადგენენ ეროვნული გუნდის ბირთვს, დაკავებული არიან სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში და მარტის შუა რიცხვებამდე არ აპირებენ თავიანთი ფეხბურთელების გაშვებას ნაკრებში.

## პიკო — ხუანიტოს მემკვიდრე

...მექსიკის ფეხბურთელთა ნაკრები აგებდა მატჩს ანგარიშით 0:1. აი, ამ მომენტში, არწივის პატარა მართვემ პიკომ ნისკარტით გატეხა კვერცხის ნაჭუჭი, რომელიც თავისი ნახატით ფეხბურთის ბურთსა ჰგავს. იგი ამოფრინდა ნაჭუჭიდან, გაეშურა ფეხბურთის მინდვრისკენ და ზედიზედ 3 საპასუხო ბურთი გაიტანა.

ასეთია, მოკლედ, მექსიკური მულტფილმის მოკლე შინაარსი, რომელიც მიეძღვნა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში. მისი მთავარი გმირია არწივის მართვე პიკო, რომელიც უკვე გამოჩნდა ბევრი მაღაზიის ვიტრინებში და ოქროს ქალღმერთის მომავალი გათამაშებისადმი მიძღვნილ პლაკატებზე.

განაგრძობენ რა ინგლისელთა ინიციატივას, რომლებმაც 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ტურნირის სახუმარო ემბლემად მხიარული ლომის ბოკვერი ვილი გამოიგონეს, მექსიკელებმა ხუანიტო შექმნეს, ესაა ფეხბურთელი ბიჭუნა, რომელსაც ახურავს სომბრერო წარწერით: „მეხიკო-70" და ბურთზე უდგას ფეხი. ახლა ხუანიტოს გამოუჩნდა ამხანაგი. ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა განაცხადა, რომ ხუანიტო და პიკო ასახავენ ორ ასპექტს, ორ შეხედულებას. უნდა აღინიშნოს, რომ არწივი მექსიკის ოფიციალური ემბლემაა. ამ ქვეყნის გერბზე იგი გამოსახულია კაქტუსზე მჯდომარე და ნისკარტში უჭირავს გველი.

(საკდეხი).

## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

საფრანგეთი. ეჭვს არ იწვევს, რომ ამ ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი „სენტ-ეტიენი" კვლავ შეინარჩუნებს უძლიერესის ტიტულს. იგი ახლა 8 ქულით უსწრებს II ადგილზე მყოფ „ოლიმპიკს" (მარსელი) და „ბორდოს". ლიდერს 32 ქულა აქვს.

ესპანეთი. 20 ტურის შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის გათამაშებაში წინაა ორი „ატლეტიკო": ბილბაოსი და მადრიდისა, რომლებსაც 28-28 ქულა აქვთ. ლიდერებს 1 ქულით ჩამორჩება მადრიდის „რეალი".

ბელგია. ჩემპიონატის 19 ტურის შემდეგ 29 ქულა აქვს ლიეჟის „სტანდარდს", 27 — „განტუაზს".

იტალია. 30 ქულა აქვს „კალიარის", რომელმაც მე-19 ტურში დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოუგო რომის „ლაციოს" — 2:0. გამარჯვება მოიპოვა „იუვენტუსმაც", მაგრამ იგი 4 ქულით ჩამორჩება ლიდერს.



## რბოლა თუ ფრენა?

. ეს ამბავი სტოკჰოლმის ახლოს გამართული ავტორბოლის დროს მოხდა. ულფ ლარსონის საქმე კარგად მიდიოდა, ვიდრე უკანასკნელ მოსახვევში ტრეკს არ ასცდა: რაღაც დაემართა საჭეს...

ამ სურათზე თქვენ სწორედ მარცხის მომენტს ხედავთ. „კორტინა" უცებ ჰაერში აფრინდა, გვერდზე დაეშვა და პირდაპირ თივაში ჩაემხო. თავად სპორტსმენი ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული და გადარჩა.

## ცვლილებები უმაღლეს ლიგაში

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ბაქოს „ნეფტჩის" ფეხბურთელთა კოლექტივში. თამაშს თავი დაანება ნახევარმცველმა ტროფიმოვმა და მეორე მწვრთნელად შეუდგა მუშაობას. გუნდის ადმინისტრატორად დაინიშნა მცველი ა. ბაბაევი. აღარ ითამაშებს მეკარე კოსნკოვიც.

„ნეფტჩის" დაუბრუნდნენ ნახევარმცველი გაჯიევი (მოსკოვის „დინამოდან") და მეკარე შეხოვი (მოსკოვის „ტორპედოდან"). ბაქოელებს ახლა საწვრთნელ შეკრებაზე ჰყავთ ცენტრალური თავდამსხმელი ბანიშევსკი, რომლის „ნეფტჩიში" დაბრუნების საკითხი გუნდის საერთო კრებამ უნდა გადაწყვიტოს.

* * *

მინსკის „დინამოს" შემადგენლობა დატოვა ვეტერანთა დიდმა ჯგუფმა, რომელთა შორის არიან მცველები ზარემბო და სავოსტიკოვი, ნახევარმცველი არზამასცევი, ცენტრალური თავდამსხმელი მუსტიგინი. მათ ნაცვლად მიღებულია რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე. მოსკოვის „სპარტაკიდან" გადმოვიდნენ მცველი გრებნევი და გარემარბი პრიბილოვი. ლენინგრადის „დინამოდან" მიღებულია ცენტრალური მცველი პრუდნიკოვი.




## ცსკა ბულგარეთში

ტროიანი, 5 თებერვალი. მსაჯის საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე პოლიკარპოვმა ბურთი გაიტანა. ამ ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა ცსკა-სა და ადგილობრივი „ჩავდარის" ამხანაგური საერთაშორისო მატჩის ბედი.

## ხელბურთელებმა დავა დაამთავრეს

ერევანი, 5 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. საქართველოს ნაკრებმა თავისი ბოლო შეხვედრა სომხეთის გუნდთან გამართა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 22:19.

სსრ კავშირის I ნაკრებმა სძლია ჩეხიის გუნდს (26:19), ხოლო სსრ კავშირის ახალგაზრდულმა კოლექტივმა — ფინეთის ნაკრებს (25:16).

სსრ კავშირის I ნაკრებმა ყველა მატჩი მოიგო, ქულათა მაქსიმუმი (10) დააგროვა და I ადგილი მოიხვეჭა. II ადგილზეა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები (8 ქულა). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ჩეხიის (6), საქართველოს (4), სომხეთისა (2) და ფინეთის (0) ნაკრები გუნდები.

## მესტარტის საწვრთნელო „გასროლა"

მოსკოვი, 5 თებერვალი. გუშინ ნორჩ პიონერთა სტადიონის მანეჟში დამთავრდა „დინამოს" მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრება, რომელიც რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა. ევროპის ჩემპიონმა ვ. გავრილოვმა 241 სმ სიმაღლე გადალახა (ეს მეორე შედეგია წლეულს ევროპაში). მან ეს მეორე ცდაზე შეძლო, მას შემდეგ, რაც ა. მოროზთან ერთად 211 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო.

1500 მეტრზე რბენაში სსრ კავშირის რეკორდსმენი და ჩემპიონი ლ. ბრაგინა (კრასნოდარი) თავისი „ძირითადი" დისტანციის სტარტზე დარბაზებისთვის უმაღლესი მსოფლიო მიღწევის გაუმჯობესების მტკიცე გადაწყვეტილებით გამოვიდა (4.24,7 — ასეთია ეს უმაღლესი მიღწევა, რომელიც სულ რაღაც ორი დღის წინ დაამყარა სიკტივკარელმა გ. სობოლევამ). სამწუხაროდ, ჩემპიონის მოწადინებას არც ერთმა მეტოქემ არ აუბა მხარი და ბრაგინამ „ეულად" დაამთავრა რბენა — 4.28,2.

საკავშირო კატეგორიის მსაჯს ნ. ტომასს სამართლიანად მიიჩნევენ ევროპის საუკეთესო მესტარტედ. ახლა ტომასი მწვრთნელის როლში იღებდა მილოცვებს: შეჯიბრების ნამდვილი აღმოჩენა გახდა მისი მოწაფე, 15 წლის ლ. შიბენკოვა. 300-მეტრიან დისტანციაზე ლიუბამ წამის მეათედი მხოლოდ მეხიკოს ოლიმპიადის მონაწილე ლ. გოლომაზოვას (ალმა-ათა) დაუთმო. შიბენკოვას დრო — 40,7 წამი — ქვეყნის ახალი მიღწევაა გოგონათა შორის.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 ‘ეე 03142